სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ინფექციური დაავადებები

სავარაუდო საკვლევი თემატიკა: აივ ინფექცია/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების ეპიდემიოლოგია, მოლეკულური დიაგნოსტიკა და მართვა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი თენგიზ ცერცვაძე

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შემოქმედებითად მოეკიდებიან და გაანალიზებენ ახალ და უკვე არსებულ ინფორმაციას. პროგრამის კურსდამთავრებულები, შეძენილ ახალ ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს დანერგავენ პრაქტიკაში და მიღებულ წარმატებულ შედეგებს გაავრცელებენ როგორც პუბლიკაციების, ისე სასწავლო კურსების სახით. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ ქვეყანაში დანერგონ ახალი მიდგომები.

პროგრამის აქტუალურობა და სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

როგორც ცნობილია, აივ ინფექცია/შიდსი მთელს მსოფლიოში როგორც ჯანდაცვის, ასევე სოციალური სფეროს ერთ ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით ჯერ კიდევ დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, მოსალოდნელია დაავადების შემთხვევების სწრაფი მატება ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ნარკომანიის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მოსახლეობის მზარდი მიგრაციის და რიგი სხვა ფაქტორების გამო.

პროგრამის შედეგი:

აივ ინფექცია/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების კო-ინფექციის გავრცელების და მასთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების შესწავლა; დიაგნოსტიკის მაღალტექნოლოგიური მოლეკულური მეთოდებით მიღებული შედეგების ანალიზი; არაინვაზიური მეთოდების გამოყენებით ღვიძლის ქრონიკული დაავადების გართულებების დიაგნოსტიკა; აივ ინფექცია/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობის ეფექტურობის შეფასება, დაავადების მენეჯმენტის გაუმჯობესება.

მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს, სამედიცინო სფეროში ფართოდ დაინერგოს ახალი მეთოდები, გამოქვეყნდეს სტატიები, განხორციელდეს ახალი სამეცნიერო პროექტები.

დოქტორანტების თემები მიბმული იქნება ს.ს. ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის და ქართულ ფრანგული ერთობლივი ჰეპატოლოგიური კლინიკა "ჰეპას" შესრულებულ საქმიანობასთან და დაფინანსდება შესაბამისი წყაროებიდან.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია _

სადოქტორო პროგრამის "აივ ინფექცია/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების ეპიდემიოლოგია, ეტიოპათოგენეზი, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და მენეჯმენტი" დასრულების შემდეგ მომავალი დოქტორი იქნება მედიცინის ან ბიოლოგიის დოქტორი, რომელიც სრულად ფლობს დღეისათვის არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, დეტალურად იცნობს ინფექციური დაავადებების და ვირუსოლოგიის

ზოგადბიოლოგიურ და ბიოეთიკურ პრობლემებს და სპეციალიზირებულია რომელიმე კონკრეტულ თემაზე.

ცოდნა _ პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. აღნიშნული სადოქტორო პროგრამის დასრულებისას დოქტორანტი უნდა ფლობდეს:

- სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ხერხებს;
- ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, ინფექციური დაავადებების და სხვა მასთან დაკავშირებული დისციპლინების თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს;
- კვლევასთან დაკავშირებულ ბიოეთიკის საკითხებს.

კომპეტენციები და უნარ-ჩვევები _ დოქტორანტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს დოქტორანტურის კურსი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, შეძლებენ, თავი გაართვან სამეცნიერო პრაქტიკაში არსებულ და ახლად წარმოქმნილ პრობლემებს, მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებენ სწორ მოსაზრებებს.

დასაქმების სფეროები: - კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ სამეცნიერო და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიებში, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი მიმართულების მქონე კათედრებზე/დეპარტამენტებში, კვლევით ინსტიტუტებში, დისპანსერულ და სტაციონარულ კლინიკებში. ამ უკანასკნელში დოქტორანტის დასაქმების სფეროს განსაზღვრავს მისი სპეციალობა (ექიმი, ბიოლოგი).

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა მომხმარებლის დონეზე. სასურველია დოქტორის ხარისხის მაძიებელს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში და იყოს თანაავტორი სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები გათვალისწინებული იქნება დოქტორანტის კანდიდატის შერჩევისას პროგრამაში ჩასართველად.

სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად ს.ს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს და ქართულ ფრანგულ ერთობლივ ჰეპატოლოგიურ კლინიკა “ჰეპას” გააჩნია სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო/პედაგოგიური ღონისძიებების განხორციელება ძირითადი საქმიანობის საგანია.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი არის ინფექციური დაავადებების, შიდსის, სხვადასხვა გენეზის იმუნოდეფიციტებისა და იმუნური სისტემის პათოლოგიის სხვა ფორმების დიაგნოსტიკის, ეპიდემიოლოგიის და მკურნალობისა და ქვეყანაში მათი დანერგვის საკითხების მაკოორდინირებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო, საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური და საორგანიზაციო-მეთოდური დაწესებულება.

არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე მიმდინარე სემესტრში ერთდროულად შესაძლებლად მიგვაჩნია სამი დოქტორანტის მიღება.